გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №140

2024 წლის 13 სექტემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს/კ 66.46.24.861.003 უძრავი ქონების, ფ/პ ნანი პაპუკიშვილისთვის (პ/ნ 59001090410) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია მოქ. ნანი პაპუკიშვილის (პ/ნ 59001090410) განცხადება (მუნიციპალიტეტის რეგისტრაცია: N 19/2024171183-20 19.06.2024წ.), რომელშიც მოთხოვნილია იჯარის გაგრძელება გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს/კ 66.46.24.861.003 (არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაზუსტებული ფართობით 515 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საერთო ფართი 294.00 კვ.მ) უძრავი ქონებაზე (რიტუალების სახლი).

აუდიტური კომპანიის მიერ 2024 წლის 19 აგვისტოს N262-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს/კ 66.46.24.861.003 უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაზუსტებული ფართობით 515.00 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობა, საერთო ფართი 294.00 კვ.მ) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 122,000.00 (ასოცდაორი ათასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს/კ 66.46.24.861.003 უძრავი ქონების (რიტუალების სახლი), პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად საჭიროა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს/კ 66.46.24.861.003 (არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაზუსტებული ფართობით 515 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობა, საერთო ფართი 294.00 კვ.მ) - რიტუალების სახლი პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს ფ/პ ნანი პაპუკიშვილს (პ/ნ 59001090410).

2. კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს/კ 66.46.24.861.003 (არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაზუსტებული ფართობით 515 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობა, საერთო ფართი 294.00 კვ.მ) უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 122,000.00 (ასოცდაორი ათასი) ლარით.

3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 7920 (შვიდიათას ცხრაას ოცი) ლარით.
4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.
5. მოიჯარეს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ს/კ 66.46.24.861.003 უძრავი ქონება (რიტუალების სახლი), გადაეცემა რიტუალების სახლის ფუნქციონირების მიზნით (შენობამ არ დაკარგოს რიტუალების სახლის დანიშნულება და მოემსახუროს მოსახლეობას).

6. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.

7. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე